ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №931461

ნომერი: AR1165239

თარიღი : 30.09.2013

გაცემის თარიღი : 03.10.2013

გაცნობის თარიღი : 03.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი V , კორპუსი 17 , მიმდებარედ (ნაკვ.16/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პეტრე ტრაპაიძე პ/ნ 01031003591
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 20 ბ. 47

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.08.2013წ. #838962 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 30 სექტემბერს # AR1165239

განცხადებით მომართა მოქ. პეტრე ტრაპაიძემ და მოითხოვა სამსახურის 09.08.2013წ. #838962 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა საცხოვრებელი ფართის მითითების ნაწილში.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.08.2013წ. #838962 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღმის მასივში, მე–5 კვარტალი, კორპუსი #17–ის მიმდებარედ (ნაკვეთი #16/14) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის/კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში არასწორად იქნა დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართი, კერძოდ: 5578.4 კვ.მ.–ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 5560.4 კვ.მ. ამასთან, საცხოვრებელი ფართის ცვლილების შედეგად ასევე შეიცვალა საპროექტო ობიექტის საერთო ფართობიც და 5578.4 კვ.მ–ს ნაცვლად გახდა 5560.4 კვ.მ;

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.08.2013წ. #838962 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად მიეთითოს – 10235,8 კვ.მ, ხოლო საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს – 5560.4 კვ.მ;
2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.08.2013წ. #838962 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.08.2013წ. #838962 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.